

ქალაქ ქუთაისში, მახვილადის ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის
N9 ბინაზე, მოქალაქე რუსუდან კალაგომიშვილისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე რუსუდან კალაგომიშვილის წარმომადგენლის ვალერი გორთიანოვის განცხადება /2012 წლის 07.03 Nგ-2479/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, მახვილადის ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის N9 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე რუსუდან კალაგომიშვილის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მახვილადის ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე რუსუდან კალაგომიშვილს /პირადი N53001009789/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, მახვილადის ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაზე /საერთო ფართობი 53,66 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 27,45 კვ.მ, დახმარე ფართობი 26,21 კვ.მ./ მოქალაქე რუსუდან კალაგომიშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე